პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 135 (9226)
13 ივლისი, კვირა, 1986 წ.

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО — ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან ● ფასი 3 კაპ.

# წინ ახალი გზებია

**საჭადრაკო** პარტიას, რომელიც საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა თამარ ხუგაშვილმა დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთ ჩაის ფაბრიკაში ითამაშა და რაიონულ ცენტრში სპორტული კომპლექსის გახსნას თითქოს არავითარი კავშირი არ უნდა ჰქონოდათ ერთმანეთთან, მაგრამ სააგიტაციო მატარებელმა „საქართველოს კომკავშირელმა“, რომელიც დასავლეთ საქართველოში ფიზიკური კულტურისა და სპორტის პროპაგანდის მიზნით ჩავიდა, ეს ორი მოვლენა მჭიდროდ დაუკავშირა ერთმანეთს. დიახ, მან ერთ მწკრივში დააყენა სპორტული ცხოვრების დიდი და პატარა მოვლენები, ახალი რეზერვები გამოავლინა სპორტის პროპაგანდის საქმეში. საინტერესოა, ხუთი დღის განმავლობაში გამართული 27 ღონისძიებიდან რომელი იყო ყველაზე უფრო „სააგიტაციო“ — სპორტის თემაზე შექმნილი კინოს ჩვენება, ფეხბურთის მატჩი ვეტერანების მონაწილეობით, თუ ჭადრაკის პარტია საერთაშორისო ოსტატთან? ნუთუ „საქართველოს კომკავშირელის“ პირველმა რეისმა ვალენა იქონია მხოლოდ ამ ღონისძიებებზე მოსულ ოფიციალურად აღნუსხულ 27 ათას ადამიანზე? როგორ უნდა შევაფასოთ ამ მოგზაურობის შედეგები, საერთოდ შეიძლება კი მათი შეფასება?

შევახსენებთ მხატვრულ-სააგიტაციო ბრიგადების შემადგენლობას: საქართველოს ჭაბუკთა ნაკრების აკრობატები და ტანმოვარჯიშეები, თბილისის მე-40 სკოლის აერობიკის ჯგუფი, გორის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლი „აია“, მოცეკვავეთა ჯგუფი „დილა“, ორი მოჭადრაკე — საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი თამარ ხუგაშვილი და სპორტის ოსტატი ალექსანდრე ბლაგიძე. ჯგუფის „მშვენება“ გახლდათ თბილისის „დინამოს“ ვეტერან ფეხბურთელთა ნაკრები. აქ იყვნენ სხვადასხვა თაობის სახელოვანი ფეხბურთელები — სლავა მეტრეველი და მიხეილ მესხი, ზაურ კალოევი, ლევან ჟორდანია, ბორის სიჭინავა, რამაზ ურუშაძე, ოთარ რუხაძე, რევაზ ძოძუაშვილი, დოდიკ ხუნდაძე, ლევან ნოდია, მანუჩარ მაჩაიძე, მერაბ ასიტაშვილი, ალექსეი ილიადი, გიორგი თავაძე, გიორგი ჰილაია, თამაზ კოსტავა, ვახტანგ ქორიძე.

ვეტერანებმა დასავლეთ საქართველოს სტადიონებზე სამი შეხვედრა გამართეს. აქედან ორში გაიმარჯვეს, ერთი (ზუგდიდში) წააგეს. ისინი ეთამაშნენ ადგილობრივ გუნდებს, რომელთა მთავარ ძალას ვეტერანები წარმოადგენდნენ.

რასაკვირველია, შეუძლებელია მხოლოდ ფეხბურთის მატჩებს ჰქონოდათ სააგიტაციო ზემოქმედების უფრო მეტი ძალა, მაგრამ რაც მართალია, მართალია, ყველაზე დიდი ინტერესი სწორედ ამ მატჩებმა გამოიწვიეს. მაგალითად, აბაშაში იყო დაგეგმილი ფეხბურთის მატჩის გამართვა, აქ დასასრულს უახლოვდებოდა სპორტული კომპლექსის წლების წინათ დაწყებული რეკონსტრუქცია. აბაშელებმა გაიგეს თუ არა სააგიტაციო მატარებლის მოახლოება, დააჩქარეს სამუშაოების შესრულება და კომპლექსის გახსნა მხატვრულ-სააგიტაციო ჯგუფის ჩამოსვლის დღეს დაუკავშირეს. აბა ზეიმს რა ფასი ექნებოდა ფეხბურთის გარეშე... და სპორტულმა ზეიმმაც შესანიშნავად ჩაიარა.

დიდი ინტერესი გამოიწვია ერთდროული თამაშის სეანსებმა ჭადრაკში. როგორც წესი, თამარ ხუგაშვილსა და ალექსანდრე ბლაგიძეს ერთდროულად ათი-თხუთმეტი მეტოქის წინააღმდეგ უხდებოდათ ბრძოლა. ჩაის ფაბრიკაში, რომელშიც სულ 60 კაცი მუშაობს, თამარს სთხოვეს ეთამაშა ერთ-ერთ თანამშრომელთან, რომელსაც დააგვიანდა სეანსზე მოსვლა. ორთაბრძოლა დაძაბული გამოდგა, თამარმა, რა თქმა უნდა, შეხვედრა მოიგო, მეტოქეს მადლობა გადაუხადა კარგი თამაშისთვის და რამდენიმე სასარგებლო რჩევაც მისცა. რა უნდა იყოს დამწყები მოჭადრაკისთვის დიდი ოსტატის შექებაზე უფრო ძვირფასი?

მიხეილ მესხს (უფროსს) თან ახლდა უმცროსი ვაჟი მამუკა. მას, რა თქმა უნდა, არასდროს უნახავს მამამისი სარბიელზე, მაგრამ აღმოჩნდა, რომ არც 60-იან წლებში გადაღებული დოკუმენტური ფილმი „მიხეილ მესხი“ ჰქონია ნანახი. და აი, მამუკამ — „ავაზას“ 9 წლის თავდამსხმელმა ამ მოგზაურობისას იხილა ეკრანზე გაცოცხლებული ლეგენდა...

მაშ ასე, დამთავრდა „სპორტული პროფილის“ მქონე სპეციალური კომკავშირული მატარებლის პირველი სააგიტაციო მარშრუტი, რომელიც მოაწყო საქართველოს კომკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა და რესპუბლიკის სპორტსახკომმა. როგორც ყველა წამოწყებაში, აქაც იყო მოსალოდნელი ხარვეზები, მაგრამ საქმეც ისაა, რომ ისინი მოსალოდნელზე გაცილებით ნაკლები აღმოჩნდა. ყველა ღონისძიება, იშვიათი გამონაკლისის გარდა, დანიშნულ დროს ტარდებოდა. აგიტმატარებლის შესახვედრად ბაქანზე იკრიბებოდნენ პარტიისა და კომკავშირის რაიონული კომიტეტების, ადგილობრივი სპორტული კომიტეტების წარმომადგენლები. სწორედ რაიონების ხელმძღვანელი ორგანოების ერთობლივმა მოქმედებამ უზრუნველყო მხატვრულ-პროპაგანდისტული ჯგუფის შეუფერხებელი მუშაობა. დიახ, მხოლოდ ასეთი ურთიერთგაგებისა და მხარდაჭერის ატმოსფეროში თუ შეძლებდა აგიტმატარებელი „საქართველოს კომკავშირელი“ თავისი კეთილშობილური მისიის შესრულებას.

ჯერჯერობით არ არის დადგენილი აგიტმატარებლის ახალი მარშრუტი, მაგრამ უკვე ცნობილია, რომ იგი აუცილებლად შედგება. რა მიმართულებით წავა მატარებელი, დრო გვიჩვენებს.

**პეპი ბოჭორიშვილი.**
(„ლელოს“ სპეც. კორ.).



სააგიტაციო-მხატვრული ჯგუფის წევრ სპორტსმენთა გამოსვლის ერთ-ერთი მომენტი.




## მოსკოვში გრძელდება სპორტისა და ახალგაზრდობის ზეიმი — კეთილი ნების თამაშები

# მედლები და მათი მფლობელები

„ლელოს“ სპეციალური კორესპონდენტები გიორგი ჩოჩიშვილი და ზურაგ ფოცხვერია მოსკოვიდან გვატყობინებენ:

**გუშინწინ** მოსკოვში, კეთილი ნების თამაშებზე მედლების კიდევ ოთხი კომპლექტი გათამაშდა. სამი ჩემპიონი ველოსპორტში გამოვლინდა, ერთი — წყალში ხტომაში.

ქალთა ინდივიდუალურ რბოლაში 20 კილომეტრზე (საშუალედო ფინიშებით) ბრწყინვალე შთაბეჭდილება დატოვა დიდი ბრიტანეთის წარმომადგენელმა სელი ხოჯმა, რომელმაც საერთო ჯამში 62 ქულა მოაგროვა და მეორე ადგილზე გასულ ტეა ნიუმეი-ვიკსტედტს (ფინეთი) მთელი 33 ქულით გაუსწრო.

ვაჟთა შეჯიბრებაში 50 კილომეტრ დისტანციაზე პირველობა არავის დაუთმო საბჭოთა ველოსიპედისტმა ვიქტორ მონაკოვმა — 54 ქულა.

მაგრამ ამ დღეს ყურადღების ცენტრში, ცხადია, სპრინტერ ვაჟთა ფინალური შეჯიბრება იყო. აქ ერთმანეთს შეხვდა თანამედროვეობის ორი უძლიერესი ველოსიპედისტი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან, მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონი ლუც ჰესლიჰი და მსოფლიოს რეკორდსმენი მიჰაელ ჰიუბნერი. ეს ბრძოლა, ისევე როგორც ამ ძველი მეტოქეებისა და მეგობრების ყველა ადრინდელი შეხვედრა, ნაცნობი სიუჟეტით წარიმართა.

ჰიუბნერმა ყველაფერი გამოიყენა, რაც იცოდა და შეეძლო. პირველი პოზიციიდანაც სცადა „გაქცევა“, მეორე პოზიციიდანაც შეუტია, „სიურპლიასსაც“ მიმართა, მაგრამ ჰესლიჰის წონასწორობიდან გამოყვანა მაინც ვერ შეძლო. ჩემპიონმა კონკურენტის ყველა გამოწვევა მშვიდად მიიღო, ამა თუ იმ ტაქტიკურ ჩანაფიქრს თავისი კონტრჩანაფიქრი დაუპირისპირა და ბოლოს და ბოლოს ორ ცდაში სასურველ შედეგს მიაღწია. ჰესლიჰი კეთილი ნების თამაშების ჩემპიონი გახდა.

იხ. მე-3 გვ.

**უპასუხისმგებლობის, სულმოკლეობის, ბანკში მომუშავე პერსონალის პირადი გამორჩენისადმი მისწრაფების აღმაშფოთებელი ფაქტები გამოვლინდა რესპუბლიკის სპორტულ-გამაჯანსაღებელ ბანაკებში**

იხ. მე-2 გვ.

# დღეს იწყება მოცურავის საკავშირო კვირეული



დღეს იწყება მოცურავის საკავშირო კვირეული. რას გვპირდება იგი? რა თქმა უნდა, წყალზე გამართულ ზეიმებს, მასობრივ შეჯიბრებებს. მოცურავენი ჩააბარებენ მზდ ნორმატივებს. აღმოჩნდებიან ახალი ტალანტები, ცურვის უცოდინარები დაინტერესდებიან სპორტის ამ სახეობით. ცურვა ხომ ჯანმრთელობაა, კარგი გუნება განწყობილებაა, რაც მთავარია, კარგი მოცურავე წყალში ხიფათისგან დაზღვეულია. სტატისტიკა გვარწმუნებს, რომ წყალს ცურვის არმცოდნენი „არ უყვარს“. ცურვის საკავშირო კვირეულის უპირველესი მიზანი ისაა, რომ რაც შეიძლება მეტმა ადამიანმა ისწავლოს ცურვა.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ცურვის საკავშირო კვირეული ორგანიზებულად ჩაივლის ჩვენი რესპუბლიკის საცურაო აუზებში, ზღვაზე, წყალსაცავებში, ტბებზე და მდინარეებზე; რომ ეს კვირეული ხელს შეუწყობს ბავშვების, და არა მხოლოდ ბავშვების ცურვით დაინტერესებას. ვინ იცის, იქნებ მათ შორის მომავალი ოლიმპიური თამაშებისა და მსოფლიოს ჩემპიონებიც არიან.

მაშ ასე, გველიან ცისფერი ბილიკები. (იხ. მე-4 გვ.).

საქართველოს სახელმწიფო სპორტკომიტეტში

# სიხარბე და უპასუხისმგებლობა

## ანუ დაუჯერებელი ამბავი სპორტულ-გამაჯანსაღებელ ბანაკებში უხეში დარღვევების შესახებ

- ბანაკებს ხელმძღვანელობენ ამ თანამდებობისთვის შეუფერებელი დირექტორები
- არსად პირობები არ არის, ბანაკები კი გაიხსნა
- ბანაკები უშრომელი შემოსავლის წყაროდ გაიხადეს
- უწყინარი გრამების არითმეტიკა
- ვინ აგებს პასუხს იმაზე, რაც სპორტულ-გამაჯანსაღებელ ბანაკებში ხდება?

**ბავშვთა** სპორტულ-გამაჯანსაღებელი ბანაკი! რაც დრო გადის, ეს სახელწოდება სულ უფრო ხშირად გვესმის. ასეთი ბანაკების მომრავლება ჩვენი ცხოვრების სოციალური და ეკონომიკური წინსვლის შედეგია. მასში ასახვას პოვებს დევიზი: „ყველაფერი საუკეთესო — ბავშვებს!".

დიახ, საზაფხულო ბანაკი, რომელიც გნებავთ, აიღეთ, პირველ ყოვლისა ზაფხულის პერიოდში ნორჩებთან მრავალმხრივ სასარგებლო მუშაობის გაშლის საშუალებას გვაძლევს. პიონერულ ზაფხულს მისთვის დამახასიათებელი რომანტიკა ახლავს, მომხიბლავი და დაუვიწყარია იგი თითოეული მოზარდისათვის. ბავშვთა სპორტულ-გამაჯანსაღებელი ბანაკის ერთი მთავარი მიზანი ისიც არის, რომ ზაფხულის პერიოდში მოზარდებმა სპორტული წვრთნა გააგრძელონ — ივარჯიშონ უკეთეს პირობებში, აგარაკზე, სადაც ერთმანეთს რაციონალურად ერწყმის დასვენება და აღმზრდელობითი მუშაობა.

ყოველ შემთხვევაში, ასე უნდა იყოს. სხვაგვარად ასეთი ბანაკი დაკარგავს თავის მნიშვნელობას, მაშასადამე, განიავდება სახსრები, რასაც სახელმწიფო ჩვენი მოზარდი თაობის კეთილდღეობას ახმარს. რაც მთავარია, ხელოვნურად შეფერხდება ნორჩების სპორტული დაოსტატების პროცესი.

სპორტული საზოგადოებების, განათლების სისტემის, ცალკეული ორგანიზაციების ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლების საზაფხულო ბანაკების მნიშვნელობაზე დღეს არავინ დაობს. ეს ბანაკები აუცილებელია და ჩვენი საზოგადოებრიობა მართლაც არაფერს იშურებს იმისათვის, რომ მოზარდი თაობის აღზრდას, მათი ჯანმრთელობის გაკაჟებისთვის ზრუნვას საზაფხულო არდადეგების პერიოდში ორგანიზებული, მიზანმიმართული ხასიათი მიეცეს. მაგრამ, სამწუხაროდ, იმას, რაც ჩვენი რესპუბლიკის სპორტულ-გამაჯანსაღებელ საზაფხულო ბანაკებში ხდება, როგორც ეს კოლეგიის სხდომაზე გაირკვა, ორგანიზებულსა და მიზანმიმართულს ჯერჯერობით ვერ უწოდებ. ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს ბავშვებზე, ჩვენი სპორტის ხვალინდელ დღეზე, არავინ ფიქრობს, მათი მომავალი არავის ადარდებს. ბანაკების დირექტორების უმეტესობა იმ სპორტული სკოლის ხელმძღვანელია, რომლის კონტინგენტისთვისაც ბანაკი შეიქმნა. ზოგიერთი სპორტში საკმაოდ ცნობილი პიროვნება გახლავთ. მიუხედავად ამისა, როგორც კოლეგიის სხდომაზე გამოირკვა, ბანაკების დირექტორთა უმეტესობა მაინც, ასე ვთქვათ, „შემთხვევითი ხალხი" ყოფილა. შემთხვევითი იმ მოთხოვნებისათვის, იმ თავისებურებებისათვის, რასაც საბანაკო ცხოვრება, ბავშვებთან მუშაობა ითვალისწინებს.

„არ ვიცოდი", „გამოცდილება არ მქონდა", „უარი ვთქვი, მაგრამ ბანაკის დირექტორად მაინც გამიშვეს" — ასე იმართლებდნენ თავს კოლეგიის სხდომაზე ისინი, ვისაც უპასუხისმგებლობისთვის, ანგარებისთვის, თვალთმაქცობისთვის სთხოვდნენ პასუხს.

**კონკრეტული ფაქტები:**

თბილისის სახალხო განათლების ხელბურთის ბავშვთა და მოზარდთა ოლიმპიური რეზერვის სპორტულმა სკოლამ წყალტუბოს ზონის სოფელ გუმბრში გახსნა საზაფხულო ბანაკი. ძნელია ირწმუნო, რომ ამ ბანაკს შეუძლია მოზარდებს რაიმე სარგებლობა მოუტანოს. აქ ერთი სპორტული მოედანიც კი არ არის. უახლოესი მოედანი ბანაკს 2,5 კილომეტრითაა დაშორებული და იქაც ნორჩი ხელბურთელები იშვიათად დაჰყავთ სავარჯიშოდ. ეს ბაზა მაქსიმალურადაც რომ დაიტვირთოს, მაინც ვერ აუვა ბანაკში დასახვენებლად და სპორტული ოსტატობის დონის ასამაღლებლად ჩასულ 180 მოსწავლეს. ან რა საქმიანობაზე და შედეგებზე შეიძლება ლაპარაკი, როცა მწვრთნელებს მიმდინარე და პერსპექტიული გეგმებიც კი არა აქვთ, როცა ბანაკში საერთოდ უგულებელყოფილია პერსპექტიული გეგმის მიხედვით მუშაობა. შემოწმებისას აღმოჩნდა, რომ მოსწავლეთა დიდი ჯგუფი ადმინისტრაციული, სამედიცინო და კვების რეჟიმის უხეში დარღვევით იმყოფებოდა გაუთვალისწინებელ ტურისტულ ლაშქრობაში. ბანაკის ხელმძღვანელობა (დირექტორი ზ. ქალდავა) შერიგებულია იმ ვითარებას, რომ ბანაკს, სადაც 180 ბავშვია, დღემდე არა ჰყავს შტატით გათვალისწინებული ექიმი. 58 მოსწავლე ბანაკში სპეციალური სამედიცინო ცნობის გარეშეა მიღებული.

საწყობიდან საკვებ პროდუქტებს ყოველგვარი აღრიცხვისა და კონტროლის გარეშე, დადგენილი ნორმების უხეში დარღვევით გასცემენ. მენიუ თვითნებურად დგება. აღარას ვამბობთ ექიმის მიერ საკვების შემოწმების საჭიროებაზე. ეჭვს იწვევს ისიც, რომ ხარჯთაღრიცხვა 250 ბავშვზეა გათვალისწინებული და ბანაკის დირექციაში სწორედ 250 შეუვსებელი, მაგრამ ბეჭედდასმული საგზური ინახება. ბანაკში კი, როგორც ზემოთ ითქვა, ფაქტიურად 180 მოსწავლეა. აქ 180 მოსწავლეს ძლივს ათავსებენ, საინტერესოა სად და როგორ მიიღებდნენ 250 მოზარდს? რატომ არავინ გაითვალისწინა შესაძლებლობები?

თბილისის კიროვის რაიონის ბავშვთა და მოზარდთა სპორტულმა სკოლამ (დირექტორი ნ. ზვიადაური) ბანაკის ადგილად გურჯაანის რაიონის კაჭრეთის სკოლა-ინტერნატი აირჩია. სამწუხაროდ, აქ ელემენტარული პირობებიც კი არ არის საზაფხულოდ ბანაკში ჩასული სპორტის ხუთი სახეობის წარმომადგენლების წვრთნა-მომზადებისთვის. ბანაკში ანტისანიტარია სუფევს, მწერები ინფექციურ დაავადებათა გავრცელების საშიშროებას ქმნიან. რესპუბლიკის ვაჭრობის სამინისტროს წარმომადგენლებმა შემოწმებით დაადგინეს, რომ ბავშვები სრულად ვერ ღებულობენ მათთვის განკუთვნილ საკვებ პროდუქტებს. მარტო ერთ ულუფა წვნიან კერძში 5,5 გრამი კარაქი არ იყო. ბანაკში 250 ბავშვია. გამოდის, რომ მარტო ერთ სადილზე ბავშვებს აქ 1 კილოგრამსა და 375 გრამ კარაქს პარავენ, ე. ი. ასეთი განუკითხაობის ვითარებაში, სამჯერად კვების პირობებში ნაკადის მანძილზე ბანაკში მოკალათებულ უსინდისო ადამიანებს ბავშვებისთვის გამოყოფილი 214 კილოგრამი კარაქი შეუძლიათ მიითვისონ. იმავე შემოწმებისას გამოვლინდა, რომ ბავშვებს აკლებენ ერთ ტონაზე მეტ ხორცსა და სხვა პროდუქტებს.

გაოცებას იწვევს საქართველოს პროფსაბჭოს მძლეოსნობის სპეციალიზებული ოლიმპიური რეზერვის სპორტული სკოლის პიონერული ბანაკის ხელმძღვანელების (დირექტორი ნ. კოზანაშვილი) აშკარა გულგრილი დამოკიდებულება მოზარდებისადმი. ეს ბანაკი ბაკურიანში სანიტარული და სხვა სამსახურების ნებართვის გარეშე გაიხსნა. მოსწავლეთა ნაწილი ცხოვრობს უფანჯრო, ბნელ ოთახებში, 49 მოზარდი კი კერძო ბინებშია შესახლებული. თავიდან არც ის გახსენებია ვინმეს, რომ ნორჩ მძლეოსნებს სპორტული ბაზა დასჭირდებოდათ. სამწუხაროდ, აქ არც აღმზრდელობითი მუშაობისთვის არის შექმნილი პირობები. არ არის წითელი კუთხე, პიონერული ოთახი, ბავშვებს ენატრებათ გაზეთები და ჟურნალები, არა აქვთ ტელევიზორი. თავისუფალ დროს, რაკი სხვა გასართობი არა აქვთ, კარტს თამაშობენ.

გამოირკვა, რომ უხეშად ირღვევა საშტატო განრიგი. აკომპანიატორად გაფორმებულია ვინმე ო. ჩუბკო, რომელიც საერთოდ არ გამოჩენილა ბანაკში. დამლაგებლად ერთ განაკვეთზე გაფორმებულია ნ. კოზანაშვილი, სამზარეულოს მუშად 1,5 განაკვეთზე — ვ. შურკო. ჰურელს თავად აღმზრდელები რეცხავენ. ხშირია შემთხვევები, როცა მოზარდები უარს ამბობენ კერძზე, მისი უხარისხობისა და უგემურობის გამო. ერთ ულუფას, რომელიც სპეციალისტთა კომისიამ შეამოწმა, 6,1 გრამი კარაქი აკლდა. 160 ულუფაზე გადაანგარიშებით ბავშვებისთვის დაკარგული და სარბი ადამიანების მიერ მითვისებული პროდუქტების რაოდენობა ხოლიდურ ციფრს შეადგენს. იმავე დღეს ბანაკს აღმოაჩნდა 39 კგ ხორცისა და სხვა პროდუქტების დანაკლისი.

**კოლეგიის სხდომაზე დ. იოსელიანის გამოსვლიდან:** ბანაკში უკვე ყველაფერი მოგვარდა, ჩავიტანეთ ჩოგბურთის მაგიდები, შაში, ჭადრაკი, ტელევიზორი, გამოვუშვით 6 კედლის გაზეთი.

**კოლეგიის წევრთა შენიშვნა:** ხედავთ? ორ დღეში გაკეთდა ის, რაზედაც ადრე არ იფიქრეთ, შემოწმებას ელოდით?

„ბანაკი კურიოზი!" ასე შეიძლება ვუწოდოთ ბორჯომში გორის ბავშვთა და მოზარდთა ძიუდოს სპორტული სკოლის ბანაკს (დირექტორი გ. ზაუტაშვილი). სასწავლო და აღმზრდელობითი მუშაობის პროცესი აქ მთლიანად ჩაშლილია. ან რა მუშაობაზე შეიძლება ლაპარაკი, როცა მოსწავლეთა მთელი კონტინგენტი კერძო ბინებშია შესახლებული და ბავშვები ეგრეთწოდებულ ბანაკს მხოლოდ დასაძინებლად აკითხავენ. დანარჩენი დრო რას ხმარდება? ქუჩაში სეტიალს. ნორჩ ფალავნებს სავარჯიშო ადგილიც არ აქვთ. ბორჯომის ერთადერთი საჭიდაო დარბაზი რესპუბლიკის ნაკრებ გუნდებს აქვს დაკავებული. კოლეგიაზე სამართლიანად იკითხეს: ვის ჰპირდება ასეთი ბანაკი, ვინ აგებს პასუხს ასეთი გაუგებრობებისათვის, ვინაა დამნაშავე? ამ ბანაკში გამოვლინდა საფინანსო დისციპლინის უხეში დარღვევების ფაქტებიც. ნაცვლად 112 საწოლისა, ფაქტიურად არის 86, არ ჰყოფნით თეთრეული, ბალიშები, ზეწრები, ნაცვლად 112-ისა, სადილზე გამოცხადდა 69. 25 ივნისიდან შემოწმების დღემდე (9 ივლისი) ყოველდღიურად 112 სულზე იწერებოდა საკვები, რითაც ხელოვნურად ქმნიდნენ პროდუქტების დატაცების პირობებს. ბუღალტერს, რომელიც აქ თავს ისე გრძნობს, როგორც საკუთარ ოჯახში. შემოწმებისას აღმოაჩნდა ბანაკის დირექტორის მიერ პროდუქტების განაწილების წინასწარ შევსებული და ბეჭედდასმული განაცხადები. იქვე გაირკვა, რომ პირველი ნაკადის 100 საგზური გამოწერილია მესამე ნაკადის ბლანკზე, აღნიშნული არ არის საგზურის ღირებულება, მშობლის მიერ გადახდილი თანხის რაოდენობა; საგზურზე არ არის პროფკავშირის შესაბამისი რესპუბლიკური კომიტეტის ხელმძღვანელის, მთავარი ბუღალტრის, ადგილკომის თავმჯდომარის ხელმოწერა, არ აზის ბეჭედი. კვების რეჟიმი აქაც თვითნებურად ირღვევა. გარდა იმისა, რომ ბავშვებს აკლებენ კუთვნილ ულუფას, ხშირად კერძებს უცვლიან უფრო დაბალი ღირებულების პროდუქტით.

სერიოზული და უხეში დარღვევები გამოვლინდა სპორტსაზოგადოება „ბურევესტნიკის" ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლის ბანაკში (დირექტორი ლ. ქურხაშვილი). აქ ხარჯთაღრიცხვა 300 მოსწავლეზეა განგარიშებული და 263 მოსწავლე ჰყავთ აღრიცხული. სადილზე შემოწმების დღეს 141 მოზარდი გამოცხადდა, რამაც გვაფიქრებინა, რომ აქ ხელოვნურად ზრდიან კონტინგენტს. თუმცა, ლ. ქურხაშვილის განცხადებით, იმ დღეს 5 ბავშვი კინოში იყო, დანარჩენები კი — სავარჯიშოდ, რაც, ცხადია, თავისთავად დღის რეჟიმის უხეში დარღვევაა. 300 საგზურიდან 275 არასრულადაა შევსებული, 25 კი საერთოდ არ შეუვსიათ. გაუმართლებელია და მეტად საეჭვოა ის ფაქტი, რომ ამ ბანაკის დირექტორია ბადმინტონში რესპუბლიკის ნაკრები გუნდის უფროსი მწვრთნელი ლ. ქურხაშვილი. რესპუბლიკის ნაკრები გუნდის მწვრთნელი, რომელიც ბათუმში ატარებს შეკრებას და ყოველ დღესა და ყოველ წუთს სპარტაკიადისთვის გუნდის უკეთ მზადებას უნდა ახმარდეს, პარალელურად ბანაკის დირექტორად მუშაობს?! რა შედეგი ექნება ასეთ მუშაობას ხელმძღვანელის ერთ ან მეორე პოსტზე; ვინ იყო დაინტერესებული და რატომ ქურხაშვილთან ასეთი გარიგებით?

სპორტსაზოგადოება „განთიადის" კომპლექსური და განათლების სამინისტროს კიროვის სპორტსკოლების ბანაკების შემოწმებისას გამოვლენილი ნაკლოვანებებიდან კოლეგიამ განსაკუთრებით აღნიშნა ის, რომ „განთიადის" სკოლის ბანაკი სანეპიდსადგურის ნებართვის გარეშე გაიხსნა. მოუწესრიგებელია საბუღალტრო მეურნეობა, საცხოვრებელი ოთახები კეთილმოუწყობელია. კრივის სპორტსკოლის ბანაკში ნაცვლად 120 მოზარდისა, ისვენებს 80 ბავშვი. აქ სპორტული და აღმზრდელობითი მუშაობის არავითარი გეგმები არ გააჩნიათ.

**კოლეგიაზე გამოთქმული აზრი:** დირექტორები, რომლებსაც ბანაკში ბავშვების ბედი ანდეს, არ იცნობენ დებულებას, არ იციან რა ევალებათ, შეგნებული არ აქვთ პასუხისმგებლობა. ზოგიერთისთვის სპორტულ-გამაჯანსაღებელი ბანაკი იქცა პირადი გამორჩენისა და უშრომელი შემოსავლის წყაროდ.

მას შემდეგ, რაც კოლეგიის სხდომაზე ჩვენი სპორტულ-გამაჯანსაღებელი ბანაკების ცხოვრების ნამდვილი სურათი გამოიკვეთა და ბანაკის დირექტორების „საქმიანობა" გაანალიზდა, ყველამ აშკარად დაინახა, ვინ არიან ისინი და რა ამოძრავებთ. კოლეგიის წევრებმა სამართლიანად დასვეს კითხვა: კი მაგრამ, რატომ გაიხსნა ასეთი ბანაკები, თუ შესაბამისი მატერიალური ბაზა და პირობები არ იყო, ვის აძლევდა ხელს ამ გადაწყვეტილების მიღება, რატომ არ ამოწმებდნენ შესაბამისი უწყებები თავიანთ ბანაკებს? ბანაკებში დაშვებული უხეში დარღვევებისათვის პასუხისმგებლობას ინაწილებენ იმ ხელმძღვანელი რგოლების მუშაკებიც, ვინც გასცა ბანაკის გახსნის ნებართვა და კადრების შერჩევის საკითხი გადაწყვიტა. ვიდრე ბანაკის გახსნის ნებართვას გასცემდნენ, უწყებათა ხელმძღვანელი მუშაკები ადგილებზე არ ჩასულან. ისინი ენდობოდნენ ბანაკის დირექტორების ახსნა-განმარტებებს, დირექტორებს კი პირადი ინტერესები ამოძრავებდათ. ამგვარი წაყრუებისა და გულგრილობის ფაქტები მით უფრო მიუტევებელია, რომ თბილისის განათლების სამმართველოს წყალბურთის სპეციალიზებული სპორტული სკოლის პიონერულ ბანაკში შარშან დაშვებული სერიოზული ნაკლოვანებებიდან, რაც სადირექტივო ორგანოების მსჯელობის საგანი გახდა. სხვებზე რომ არაფერი ვთქვათ, დასკვნები არც თვით ამავე სამმართველოს დაქვემდებარებულ სპორტსკოლების სპორტულ-გამაჯანსაღებელ ბანაკებს გაუკეთებიათ.

**კოლეგიაზე გადაწყდა:** ანალოგიურ რეიდ-შემოწმებას სპორტსახკომი, რესპუბლიკის პროფსაბჭოსთან, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსთან ერთად ბანაკებში მომავალშიც გააგრძელებს.

**კოლეგიამ დაადგინა**

— აღინიშნოს, რომ ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოებების („განთიადი", „ბურევესტნიკი"), აგრეთვე საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სისტემის სპორტული სკოლების ხელმძღვანელთა მიერ სპორტულ-გამაჯანსაღებელი ბანაკების გახსნის მოსამზადებელ პერიოდში დაშვებულია საქმისადმი უპასუხისმგებლობა და გულგრილი დამოკიდებულება.

— თბილისის განათლების სამმართველოს ბავშვთა და მოზარდთა ხელბურთის სპეციალიზებული ოლიმპიური რეზერვის სპორტული სკოლის, ბავშვთა და მოზარდთა მძლეოსნობის სპეციალიზებული ოლიმპიური რეზერვის სპორტული სკოლის, კიროვის რაიონის კომპლექსური სპორტსკოლის, გორის ძიუდოს სპორტსკოლის, „ბურევესტნიკისა" და „განთიადის" ბავშვთა და მოზარდთა კომპლექსური სპორტული სკოლების სპორტულ-გამაჯანსაღებელ ბანაკებში სასწავლო-სპორტული მუშაობა ჩაითვალოს უკიდურესად არადამაკმაყოფილებლად, ხოლო აღმზრდელობითი მუშაობა — ჩაშლილად.

— საქართველოს პროფსაბჭოს წინაშე დაისვას საკითხი არსებულ პირობებში კიროვის რაიონის, პროფსაბჭოს მძლეოსნობისა და გორის ძიუდოს სპორტული სკოლების სპორტულ-გამაჯანსაღებელი ბანაკების შემდგომი ფუნქციონირების მიზანშეწონილობის შესახებ. გაირკვეს ბანაკებში ფინანსური დარღვევების ფაქტები — დამნაშავე პირების პასუხისგებაში მიცემით.

— იმასთან დაკავშირებით, რომ კადრების შერჩევა-განაწილებაში დაშვებულია დარღვევები, რაც გამოიხატება სპორტულ-გამაჯანსაღებელი ბანაკების დირექტორებად არაკომპეტენტური, საეჭვო პირების დანიშვნაში და რამაც გამოიწვია სასწავლო-სპორტული და აღმზრდელობითი პროცესის ჩაშლა, უხეში ფინანსური და სხვა დარღვევები, საქართველოს პროფსაბჭოს წინაშე:

დაისვას საკითხი მძლეოსნობის სპორტსკოლის დირექტორის დ. იოსელიანის, ნ. ს. ს. „განთიადის" რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის ა. გიორგობიანის, სპორტსაზოგადოება „ბურევესტნიკის" რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის ნ. ერაძის პერსონალური პასუხისმგებლობის შესახებ.

— ჩაითვალოს კურიოზულ ფაქტად სპორტულ-გამაჯანსაღებელი ბანაკის დირექტორად ბადმინტონში საქართველოს ნაკრები გუნდის უფროსი მწვრთნელის ლ. ქურხაშვილის დანიშვნა. ქურხაშვილი განთავისუფლდეს ბანაკის დირექტორის თანამდებობიდან. მისი პერსონალური პასუხისმგებლობის საკითხი განიხილება სსრ კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადის ფინალური ასპარეზობის შემდეგ.

— თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს (ც. სუჯაშვილი) წინაშე დაისვას საკითხი კიროვის რაიონის სპორტსკოლისა და სპორტულ-გამაჯანსაღებელი ბანაკის დირექტორის ნ. ზვიადაურის, აგრეთვე, თბილისის სახალხო განათლების ხელბურთის სპეციალიზებული სპორტსკოლის დირექტორის მოადგილის ზ. ქალდავას პერსონალური პასუხისმგებლობისა და თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ.

— დაისვას საკითხი საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს წინაშე, რათა მომავალში არ დაუშვას სპორტულ-გამაჯანსაღებელი ბანაკების გახსნა მისი დისლოკაციის, კონტინგენტით, ხელმძღვანელებითა და მწვრთნელ-მასწავლებლებით ბანაკების დაკომპლექტების წინასწარი განხილვის გარეშე. დროულად გამოყოს სათანადო ობიექტები ბავშვთა და მოზარდთა ოლიმპიური რეზერვის ყველა სკოლისთვის სპორტულ-გამაჯანსაღებელი ბანაკების დებულებით გათვალისწინებული აუცილებელი პირობების უზრუნველყოფით.

მხედველობაში იქნეს მიღებული, რომ განათლების სამინისტროს მიერ დაწესებულია რეგულარული რეიდ-შემოწმებების ჩატარება ბანაკებში არსებული ნაკლოვანებების გამოვლენა-აღმოფხვრის მიზნით.

— საქართველოს პროფსაბჭოს ფიზკულტურისა და სპორტის განყოფილების (ვ. ქურდიანი) ყურადღება გამახვილდეს რესპუბლიკაში სპორტულ-გამაჯანსაღებელი ბანაკების მუშაობის ორგანიზაციისადმი ყურადღების გაძლიერების აუცილებლობაზე, ბანაკების შესაბამისი კადრებით დაკომპლექტებისა და სასწავლო-სპორტული მუშაობის საკითხებზე.

— საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სამმართველოს (მ. მნათობიშვილი) ყურადღება გამახვილდეს იმ მიმართებით, რომ როგორც ხელმძღვანელმა ინსტანციამ გააძლიეროს მუშაობა საზაფხულო სპორტულ-გამაჯანსაღებელი ბანაკების საქმიანობისადმი. დროულად განსაზღვროს ბანაკების ადგილსამყოფელი, ამავე დროს მკაცრად მოსთხოვოს სპორტული სკოლების ხელმძღვანელებს სწორად დააკომპლექტონ ბანაკები სპორტსმენთა და მოსწავლეთა კონტინგენტით, ხელმძღვანელი კადრებით.

— სპორტსახკომის სამმართველო-განყოფილებებს, სპორტის სახეობათა მიხედვით მთავარ მწვრთნელებს დაევალათ, რომ ისინი პირადად აგებენ პასუხს სპორტის საკურატორო სახეობებში არსებული მდგომარეობის შესახებ, მათ შორის სპორტულ-გამაჯანსაღებელ ბანაკებში.

**სპორტსახკომის მთავარ სამმართველოს (გ. ცქიტიშვილი) და საორგანიზაციო-მასობრივი მუშაობის განყოფილებას (ნ. მესხი) დაევალა ორი კვირის ვადაში კოლეგიას წარუდგინონ ინფორმაცია აღნიშნული დადგენილების შესასრულებლად გაწეული მუშაობის შესახებ.**

# კეთილი ნების თამაშები

## მედლები და მათი მფლობელები

(დასასრული)

ჩვენ უკვე ვიუწყებოდით იმის შესახებ, რომ თბილისელმა სპრინტერმა ოთარ მჭედლიშვილმა ტრავმის გამო შეჯიბრების გაგრძელება მეოთხედფინალში ვერ შეძლო. მას VIII ადგილი მიეკუთვნა. მეორე საბჭოთა სპრინტერმა ნიკოლოზ კოვშმა კი თავი ვერაფრით გამოიჩინა და საბოლოო ჯამში VII ადგილი დაიკავა.

მედლების მეოთხე კომპლექტი, როგორც ზემოთ ვთქვით, ტრამპლინიდან ხტომაში მოასპარეზე ვაჟებმა გაითამაშეს. აქ ყველას საბჭოთა სპორტსმენმა ნიკოლოზ დროჟინმა აჯობა — 646,14 ქულა. აშშ-ის წარმომადგენელი კენტ ფერგიუსონი ამჯერად მეორე იყო — 643,32 ქულა.

**დაძაბულად** ჩატარდა ფრენბურთელ ქალთა ნახევარფინალური შეხვედრები. პერუსა და იაპონიის სპორტსმენთა მატჩის ბედი მეხუთე პარტიაში გადაწყდა. თავიდან პერუელი ფრენბურთელები დაწინაურდნენ (8:0), იაპონელებმა ერთხანს თითქოს გამოასწორეს მდგომარეობა, მაგრამ პარტია მაინც დათმეს (11:15). პერუს სპორტსმენებს ამ გამარჯვებამ (3:2) ფინალში თამაშის უფლება მოუტანა.

მეორე ფინალისტი გახდა სსრ კავშირის ნაკრები, რომელმაც პრინციპულ ბრძოლაში აშშ-ის ეროვნული გუნდი დაამარცხა — 3:1.

**წყალბურთელთა** ტურნირში მოულოდნელი ან განსაკუთრებული არაფერი მომხდარა. ოღონდ ეს იყო: ამერიკელებმა უნგრეთთან შეხვედრაში ქულა მატჩის დამთავრებამდე 12 წამით ადრე გადაარჩინეს, შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 8:8. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის წყალბურთელებმა საბერძნეთის გუნდი დაამარცხეს — 11:9, საბჭოთა წყალბურთელებმა კი ნიდერლანდების ნაკრებს აჯობეს — 15:8.

### გათამაშების ცხრილი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| სსრ კავშირი | 3 | 3 | 0 | 0 | 34-14 | 6 |
| აშშ | 3 | 2 | 1 | 0 | 31-18 | 5 |
| უნგრეთი | 3 | 1 | 2 | 0 | 26-25 | 4 |
| გფრ | 3 | 1 | 1 | 1 | 25-28 | 3 |
| ნიდერლანდები | 3 | 0 | 0 | 3 | 20-35 | 0 |
| საბერძნეთი | 3 | 0 | 0 | 3 | 16-32 | 0 |

**ასპარეზობაში** ჩაებნენ თავისუფალი სტილის მოჭიდავეებიც. უძლიერესის სახელისთვის ბულგარეთის, მონგოლეთის, თურქეთის, აშშ-ის, იაპონიისა და სსრ კავშირის ათლეტები იბრძვიან. შეჯიბრება ამჯერად განსხვავებული სისტემით ტარდება — ყოველ ტურში გუნდი გუნდს ხვდება, პირადი ტურნირი კი ასპარეზობის ბოლო დღეს გაიმართება.

ხალიჩაზე პირველნი ბულგარეთისა და აშშ-ის კოლექტივები გამოვიდნენ: მძიმეწონიანების შეხვედრამდე ბულგარელები იყვნენ დაწინაურებული — 5:4. ბრძოლის ბედი აქ ოლიმპიური ჩემპიონის ბრიუს ბაუმგარტნერისა (აშშ) და ათანას ათანასოვის (ბულგარეთი) შეხვედრამ გადაწყვიტა. ოლიმპიური ჩემპიონის გამარჯვებამ აშშ-ის გუნდი დამარცხებას გადაარჩინა.

საბჭოთა კავშირისა და მონგოლეთის კოლექტივების ორთაბრძოლაში ჩვენი მოჭიდავეების უპირატესობა აშკარა იყო. შეხვედრა დამთავრდა ანგარიშით 10:0. ჩვენი გუნდის ამ გამარჯვებას ბრწყინვალე წერტილი დაუსვა დავით გობეჯიშვილმა, რომელმაც მეტოქე ოდნაი ბახტი 2 წუთში დაამარცხა (13 მომგებიანი ქულა აიღო).

## დღეს და ხვალ თამაშებზე

**13 ივლისი.** კრივი. მეოთხედფინალური შეხვედრები 57, 60, 71 და 91 კგ წონით კატეგორიებში.

**თავისუფალი ჭიდაობა.** „ა" ჯგუფი: ბულგარეთი — თურქეთი, „ბ" ჯგუფი: მონგოლეთი — იაპონია. გუნდური შეჯიბრების ფინალური შეხვედრები III და I ადგილებისთვის.

**წყალბურთი.** გფრ — ნიდერლანდები, საბერძნეთი — უნგრეთი, სსრ კავშირი — აშშ. შეჯიბრების საზეიმო დახურვა.

**ტანვარჯიში.** გუნდური შეჯიბრება ნებისმიერი პროგრამით ვაჟთა შორის.

**წყალში ხტომა.** ვაჟები — კოშკი. შეჯიბრების საზეიმო დახურვა.

**აფროსნობა (ტალინში).** მეორე სერიის რბოლები.

**ხელბურთი.** ქალები. გფრ — უნგრეთი, იაპონია — აშშ, სსრ კავშირი — დანია. ვაჟები. სსრ კავშირი — ისლანდია, ჩეხოსლოვაკია — აშშ.

**ჩოგბურთი (იურმალაში).** ერთეულთა შეხვედრები, წყვილთა შეხვედრები (მეოთხედფინალები).

**14 ივლისი.** თავისუფალი ჭიდაობა. პირადი შეჯიბრების ფინალები. შეჯიბრების საზეიმო დახურვა.

**ფრენბურთი.** ვაჟები. აშშ — ბულგარეთი, იაპონია — ჩეხოსლოვაკია, სსრ კავშირი — ბრაზილია, პოლონეთი — საფრანგეთი.

**ტანვარჯიში** — ვაჟთა პირადი შეჯიბრება (მრავალჭიდი).

**აფროსნობა (ტალინში).** მესამე სერიის რბოლები.

**ხელბურთი.** ქალები. დანია — აშშ, სსრ კავშირი — გფრ, უნგრეთი — იაპონია; ვაჟები. ისლანდია — აშშ, პოლონეთი — ჩეხოსლოვაკია.

**ჩოგბურთი (იურმალაში).** ერთეულთა და წყვილთა ნახევარფინალები.

### 2Ⅱ3 კვარცხლბეკი

**მხატვრული ტანვარჯიში.** მრავალჭიდი. ტ. დრუჩინინა (სსრ კავშირი) — 40,00 ქულა. ცალკეულ ვარჯიშებში: ლენტით. ტ. დრუჩინინა — 20,00; სახტუნელით. ტ. დრუჩინინა და მ. ლობაჩი — 20,00; ბურთით. ტ. დრუჩინინა — 20,00 და გ. ბელოგლაზოვა — 20,00; გურზებით. მ. ლობაჩი — 20,00 (ყველა—სსრ კავშირი). გდრ-ის წარმომადგენელმა ბ. დიტრიხმა სახტუნელით ვარჯიშში პირველი ადგილი გაიყო.

**ველოსპორტი.** ქალები. სპრინტი. ე. სალუმიაე (სსრ კავშირი); ინდივიდუალური რბოლა გამოდევნებით 3 კმ. ბ. განცი (შვეიცარია) — 3.49,88.

**ვაჟები.** გამოდევნებით გუნდური რბოლა 4 კმ. სსრ კავშირი (ვ. ეკიმოვი, ა. კრასნოვი, ვ. შპუნდოვი, გ. უმარასი) — 4.12,41.

**წყალში ხტომა.** ქალები. ტრამპლინი. ბ. ბალუდსი (გდრ) — 493,02 ქულა.

## საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში 49

უმაღლესი ლიგა

გთავაზობთ სსრ კავშირის 49-ე საფეხბურთო ჩემპიონატის XVI ტურის შეხვედრათა სტატისტიკურ მონაცემებს.

**„სპარტაკი" — „დინამო" (მინსკი) 7:0 (5:0).** გოლები: რუდაკოვი-3, როდიონოვი-2, ჩერენკოვი, ე. კუზნეცოვი.

გააფრთხილეს მინსკელი ფეხბურთელი კონდრატიევი.

მატჩი ჩაატარა საქართველოს მსაჯთა კოლეგიის ბრიგადამ — ვ. მიმინოშვილი, შ. ხანიაშვილი, უ. ფურცელაძე (თბილისი).

დუბლიორები — 1:1.

**„ზენიტი" — „ნეფთჩი" 1:2 (0:1).** გოლები: ჯავადოვი, ახმედოვი („ნეფთჩი"), ჩუხლოვი („ზენიტი").

გააფრთხილეს ბაქოელი პონომარიოვი.

დუბლიორები — 2:1.

**„ჩერნომორეცი" — „ტორპედო" (მოსკოვი) 1:2 (1:0).** გოლები: იურჩენკო („ჩერნომორეცი"), კობზევი, გრეჩნევი („ტორპედო").

გააფრთხილეს მოსკოვის „ტორპედოს" მოთამაშე გრეჩნევი.

დუბლიორები — 2:2.

**„დნეპრი" — „ქაირათი" 5:0 (1:0).** გოლები: პროტასოვი-3 (ერთი 11-მეტრიანით), ტარანი, ლიტოვჩენკო.

დუბლიორები — 4:1.

**„ჟალგირისი" — „არარატი" 4:1 (0:0).** გოლები: ნარბეკოვასი-2, სუკრისტოვი, მაცკავიჩიუსი („ჟალგირისი"), მხითარიანი („არარატი").

დუბლიორები — 0:0.

● **ჩემპიონატის** საუკეთესო ბომბარდირთა სიაში კვლავინდებურად წინაა „ნეფთჩის" თავდამსხმელი მ. აჰმედოვი, რომელმაც 9 ბურთი გაიტანა. 8-8 ბურთი გაიტანეს ო. პროტასოვმა („დნეპრი"), ს. როდიონოვმა („სპარტაკი"), ი. სავიჩევმა („ტორპედო", მოსკოვი) და ა. ტარასოვმა („მეტალისტი").

### გათამაშების ცხრილი

### დუბლიორთა შემადგენლობანი

მდგომარეობა 18 ივლისისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დნეპრი" | 15 | 11 | 2 | 2 | 39-17 | 24 |
| „სპარტაკი" | 14 | 9 | 3 | 2 | 41-14 | 21 |
| „ჩერნომორ." | 16 | 7 | 6 | 3 | 27-20 | 20 |
| „დინ." თბ. | 16 | 7 | 4 | 5 | 19-17 | 18 |
| „ზენიტი" | 15 | 6 | 5 | 4 | 23-19 | 17 |
| „შახტიორი" | 14 | 6 | 5 | 3 | 20-16 | 17 |
| „ტორპ." მ. | 14 | 5 | 6 | 3 | 19-14 | 16 |
| „დინ." მნ. | 15 | 3 | 8 | 4 | 12-16 | 14 |
| „ჟალგირ." | 15 | 5 | 3 | 7 | 20-20 | 13 |
| „დინამო" მ. | 14 | 5 | 3 | 6 | 17-19 | 13 |
| „არარატი" | 16 | 5 | 3 | 8 | 10-18 | 13 |
| „მეტალის." | 15 | 3 | 7 | 5 | 11-13 | 13 |
| „ტორპ." ქ. | 16 | 3 | 4 | 9 | 14-31 | 10 |
| „დინამო" კ. | 7 | 3 | 2 | 2 | 13-12 | 8 |
| „ქაირათი" | 15 | 2 | 4 | 9 | 8-27 | 8 |
| „ნეფთჩი" | 15 | 2 | 3 | 10 | 9-29 | 7 |

## საქართველოს პირველობა

მიმდინარეობს რესპუბლიკის საფეხბურთო გათამაშება II ლიგის გუნდებს შორის.

**აღმოსავლეთი ზონა.** „განთიადი" (კასპი) — „მუხრანი" (მუხრანი) 4:0, „შირაქი" (წითელი წყარო) — „სიონი" (დმანისი) 4:3, „ჰერეთი" (ლაგოდეხი) — „აკრიანი" (მარტყოფი) 4:1, „არაგვი" (დუშეთი) — „გარისი" (თეთრი წყარო) 1:2, „ბახტრიონი" (ახმეტა) — „სამგორი" (გარდაბანი) 1:1, „ალაზანი" (გურჯაანი) — „გარეჯი" (საგარეჯო) 2:1, „ალგეთი" (მარნეული) — „თრიალეთი" (წალკა) 3:1, „მშენებელი" (რუსთავი) — „კოლმეურნე" (მარნეული) 4:1.

**ცენტრალური ზონა.** „ლიახვი" (ცხინვალის რ-ნი) — „რაჭა" (ამბროლაური) 3:2, „მაღაროელი" (ჭიათურა) — „აბული" (ახალქალაქი) 2:0, „საირმე" (მაიაკოვსკი) — „დილა" (წულუკიძე) 2:1, „იმერეთი" (წულუკიძე) — „მესხეთი" (ახალციხე) 1:0, „ჩიხურა" (საჩხერე) — „იბერია" (ქარელის რ-ნი) 1:0, „ვარძია" (ასპინძა) — „კოლმეურნე" (ტყიბული) 4:1, „მშენებელი" (ჭიათურა) — „თორი" (ბორჯომი) 0:0, „ზარზმა" (ადიგენი) — პოლიტექნიკური ინსტიტუტი (ქუთაისი) 2:2.

**დასავლეთი ზონა:** „ალიონი" (გალი) — „დვაბზუ" (მახარაძე) 2:2, „კოლხეთი" (ხობი) — „ოდიში" (ზუგდიდის რ-ნი) 2:1, „ნარინჯი" (ქობულეთი) — „მეშახტე" (ტყვარჩელი) 3:1, „კოლმეურნე" (გაგრა) — „სუბტროპიკი" (სოხუმი) 2:2, „ჩიბათი" (ლანჩხუთი) — „ზანა" (აბაშა) 4:2, „ნარინჯი" (გონიო) — „კოლხეთმშენი" (ფოთი) 1:1.

## სპორტულ გაზეთზე

**ფეხბურთი. საქართველოს ჩემპიონატი. 13 ივლისი. „ლოკომოტივის" სტადიონი. ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „ივერია" (ხაშური).** დასაწყისი 18 ს., ასკ-ს სტადიონი. **„იმედი" (თბილისი) — „სპარტაკი" (ცხინვალი).** 19 ს., გ. დიმიტროვის სახ. საავიაციო ქარხნის სტადიონი. **„შევარდენი"-სკი (თბილისი) — „დურუჯი" (ყვარელი).** 19 ს. 30 წ.

## ქალები გაიყვეს, მაგრამ...

**უნგრეთის** ქალაქ ტაპოლცეში დამთავრდა მოჭადრაკე ქალთა საერთაშორისო ტურნირი. I ადგილი მოიპოვა გოგონათა შორის მსოფლიო ჩემპიონმა, უნგრელმა ილდიკო მადლმა, რომელმაც 11 შესაძლებლიდან 7,5 ქულა მოაგროვა. ამდენივე ქულით, მაგრამ უარესი კოეფიციენტით II ადგილს დასჯერდა ბიჭვინთელი დიდოსტატი ე. ახმილოვსკაია. მესამე იყო გფრ-ის წარმომადგენელი, დიდოსტატი გიზელა ფიშდიკი — 7 ქულა.

## საგზურების მაძიებელნი

**აგვისტოს დამდეგს ჩვენი ქვეყნის ოთხ ქალაქში (ქუთაისი, ხარკოვი, სმოლენსკი, შაულიაი) დაიწყება სსრ კავშირის ქალთა 46-ე ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირები. ფინალის საგზურებს მიიღებენ ნახევარფინალებში I-III ადგილებზე გასული მოჭადრაკეები. ამ შეჯიბრებებში საქართველოს წარგზავნილებიც იასპარეზებენ.**

ქუთაისის ნახევარფინალში, რომელიც 5-24 აგვისტოს მოეწყობა, მიწვეული არიან ოსტატი ქეთევან არახამია, საქართველოს ჩემპიონი, ოსტატი ქეთევან მელაშვილი (ორივე—თბილისი), საქართველოს ჩემპიონატის პრიზიორები: ოსტატი მზია წერეთელი (მახარაძე) და ოსტატობის კანდიდატი ჰენრიეტა ლაგვილავა (ქუთაისი). ქუთაისში ითამაშებს 14 მოჭადრაკე, მათ შორის დიდოსტატი ელენა ფათალიბეკოვა (მოსკოვი), ახალგაზრდა ოსტატი ელენა სედინა (კიევი) და სხვები.

საქართველოს ჩემპიონი ოსტატობის კანდიდატი სოფიკო ტერელაძე (სამტრედია) მონაწილეობას მიიღებს ხარკოვის ნახევარფინალში (7-26 აგვისტო). აქ მისი მეტოქეები იქნებიან ცნობილი საერთაშორისო ოსტატები გულნარა სახატოვა (ალმა-ათა), ირინა ჩელუშკინა (კიევი), ესფირ ეპშტეინი (კლაიპედა), ლიუდმილა საუნინა (სვერდლოვსკი) და სხვ.

ამჟამად ჩვენი მოჭადრაკეები ამ შესარჩევი ტურნირებისთვის ემზადებიან.

## იყოჩაღეს სამტრედიელებმა

**ლაგოდეხში** დამთავრდა საქართველოს პირველობა 64-უჯრიან შაშში ჭაბუკთა და გოგონათა შორის. თითოეულ ტურნირში 13 ყმაწვილი მონაწილეობდა.

ჭაბუკთა შეჯიბრებაში 9,5 ქულით ჩემპიონობა მოიპოვა სამტრედიელმა ოსტატობის კანდიდატმა გივი მამიევმა. 9-9 ქულით II-III ადგილები გაიყვეს თბილისის ოქტომბრის რაიონის სპორტსკოლის აღსაზრდელებმა სანდრო ურუშაძემ და საგარეჯოელმა გელა ორკოშნელმა.

გოგონათა ტურნირში 11,5 ქულით პირველი იყო ლია ღირდალაძე. 10 ქულით II ადგილი დაიკავა ლალი ჩომახიძემ (ორივე — სამტრედია. მწვრთნელი არჩილ გრიგოლია). 9 ქულა მოაგროვა თბილისის ოქტომბრის რაიონის სპორტსკოლის აღსაზრდელმა, 10 წლის მადონა შალამბერიძემ (მწვრთნელი თენგიზ რეხვიაშვილი), რომელმაც ოსტატობის კანდიდატის ნორმა შეასრულა.

**სერგო თომაშვილი,**
**სპორტის ოსტატი, რესპუბლიკის შაშის ფედერაციის თავმჯდომარის მოადგილე.**



## თბილისელები— პირველ ადგილზე

**ზუგდიდში დამთავრდა „დინამოს" რესპუბლიკური საბჭოს პირველობა 1971-1972 წლებში დაბადებულ ნორჩ ფეხბურთელთა შორის.**

ამ ასპარეზობაში კარგად გამოვიდა თბილისის „ნორჩი დინამოელი" (მწვრთნელები: რევაზ გაგუა, სერგო აპრესიანი და ბეჟან გამგონეიშვილი). თბილისელებმა ყველა შეხვედრა დამაჯერებელი ანგარიშით მოიგეს. მათ ჯერ ბათუმელი თანატოლები დაამარცხეს — 5:0, შემდეგ სძლიეს გაგრის (11:1), ქუთაისის (4:1), სოხუმის (4:2), ზუგდიდის (6:3) კოლექტივებს და პირველი ადგილი დაიკავეს. მეორე საპრიზო ადგილზე გავიდა ბათუმის გუნდი, ხოლო მესამეზე — ზუგდიდის კოლექტივი.

გამარჯვებული გუნდის წევრებიდან ქების ღირსია დათო კიზილაშვილი, რომელმაც საუკეთესო თავდამსხმელისა და საუკეთესო ბომბარდირის (9 გატანილი გოლი) პრიზები დაიმსახურა.

**გურამ დოლენჯაშვილი.**

**ს უ რ ა თ ზ ე:** თბილისის „ნორჩი დინამოელის" გუნდი.

დღეს იწყება მოცურავის საკავშირო კვირეული

# უბედური შემთხვევა რომ თავიდან ავიცილოთ

ზაფხულში დამსვენებელთა უმრავლესობა ზღვაზე მიემგზავრება ან ამჯობინებს მდინარეებსა და ტბების პირას გაატაროს შვებულების დღეები. ბევრი სტუმარი ჩამოდის საქართველოში, კერძოდ შავიზღვისპირეთში, სადაც პლაჟის საერთო სიგრძე 330 კილომეტრია. გარდა ამისა, ჩვენს რესპუბლიკაში 860 ტბა და 12 წყალსაცავია. ამიტომ, ბუნებრივია, დიდია წყალზე უბედურ შემთხვევათა საფრთხეც და წყალმაშველი საზოგადოების მუშაკთა პასუხისმგებლობაც. ამასთან დაკავშირებით ვესაუბრეთ საქართველოს წყალმაშველი საზოგადოების ცენტრალური საბჭოს პროპაგანდის განყოფილების უფროსს გ. ლორთქიფანიძეს.

● **რა კეთდება წყალზე უბედურ შემთხვევათა თავიდან ასაცილებლად?**

— რესპუბლიკაში ამჟამად 25 მაშველი სადგური მოქმედებს, 200-ზე მეტი მაშველი საგუშაგო და სამანევრო-სამძებრო ჯგუფი ემსახურება წყალზე ადამიანთა სიცოცხლის დაცვას, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ ჩვენი მდინარეების, ტბებისა და წყალსაცავების სიმრავლეს, შავი ზღვის სანაპიროს სიგრძეს, დავრწმუნდებით, რომ მარტო ამ ძალებით ვერაფერს გავხდებით. დიახ, ზღვის სანაპიროზე, ტბების, წყალსაცავებისა და მდინარეთა სანაპიროებზე ბევრია ისეთი ადგილი, სადაც არა გვაქვს სამაშველო სადგურები. ჩვენს საზოგადოებას ჯერჯერობით საშუალება არა აქვს ყველა დასახელებულ პუნქტში გახსნას სამაშველო სამსახურის სადგურები და პოსტები. ამ რაიონებში წყალზე უსაფრთხოებას იცავენ ჩვენი საზოგადოების წევრები და მისი აქტივი. გარდა ამისა, ვამზადებთ ცურვისა და სამაშველო სამსახურის ინსტრუქტორებს. წლეულს 59 ინსტრუქტორი მოვამზადეთ. წყლის მახლობლად მდებარე ტურბაზების, დასასვენებელი სახლებისა და სასტუმროების ვესტიბიულებში ვაკრავთ სპეციალურ პლაკატებს, მივმართავთ სხვა ღონისძიებებსაც... ჩვენი მეცადინეობის შედეგად შარშან ბანაობის სეზონში უეჭველ დაღუპვას გადარჩა 300-მდე კაცი.

● **და მაინც, წყალზე უბედური შემთხვევები ხშირია.**

— დიახ, პროფესიონალ მაშველთა ხელი ყველას ვერ მიწვდება. ბრალი მიუძღვით თავად მოქალაქეებს, რომლებიც უსაფრთხოების წესებს არ იცავენ. შარშან, მაგალითად, დაუდევრობის გამოჩენის გამო 39 კაცი დაიხრჩო.

● **სხვა რესპუბლიკებში უკეთესად უძლვებიან ამ საქმეს?**

— უნდა ითქვას, რომ მოწინავე პოზიცია საქართველოს წყალმაშველი საზოგადოების ცენტრალურ საბჭოს უკავია.

● **მაინც, ის 39 უბედური შემთხვევა რამ განაპირობა?**

— როგორც მოგახსენეთ, უბედურ შემთხვევას ძირითადად თავად დამსვენებელთა გაუფრთხილებლობა იწვევს. მაგალითად, იმ 39 კაციდან 7 ზღვის ღელვისას ბანაობდა, 8 მთვრალი ჩავიდა წყალში, 7 ცურვის უცოდინარობის გამო დაიხრჩო, ერთი ყვინთვის დროს დაიღუპა, ერთიც მკვრივ სხეულზე შეჯახების გამო... მთავარი მიზეზი წინდაუხედაობა და გაუფრთხილებლობაა. რამდენჯერ უბედური შემთხვევა ერთი შეხედვით უწყინარ ხუმრობას გამოუწვევია





— ნავით სეირნობისას ნავიდან წყალში გადაგდებას, ნავის გადაბრუნების ცდას, ნავში დგომას და სიარულს, მის ნჯღრევას და ა. შ. მეტად სახიფათოა ერთი მოძრავი ნავიდან ან კატერიდან მეორეში გადახტომა. არ შეიძლება ნავში დასაშვებ რაოდენობაზე მეტი ადამიანის ჩაჯდომა. ნავით სეირნობა განსაკუთრებით მათთვისაა საშიში, ვინც ცურვა არ იცის. ხშირად ხიფათი მოსდევს ხის დაფებით, გასაბერი კამერით, გასაბერი ლეიბებით და სხვა „იმპროვიზებული" ინვენტარით ცურვას. როგორც სტატისტიკა გვარწმუნებს, წყალში დაღუპვის ყოველი მეთხე შემთხვევის მიზეზია მცირეგაბარიტიანი ნავების არასწორი ექსპლოატაცია და ცურვის წესების დარღვევა.

განსაკუთრებული სიფრთხილე უნდა გამოვიჩინოთ და უსაფრთხოების წესები განუხრელად დავიცვათ პიონერულ ბანაკებში ბავშვთა ორგანიზებული ბანაობის დროს. დაუშვებელია წყლის პირას პიონერული ბანაკების გახსნა წყალმაშველი საზოგადოების საბჭოსა და სხვა დაინტერესებული ორგანიზაციების ნებართვის გარეშე.

● **თქვენ ბრძანეთ, რომ შარშან მხოლოდ ცურვის უცოდინარობის გამო 7 კაცი დაიხრჩო. ცურვის უცოდინარობა უბედურ შემთხვევათა მიზეზებს შორის მეორე ადგილზეა. რა კეთდება იმისთვის, რომ მოსახლეობამ მასობრივად ისწავლოს ცურვა?**

— მოსახლეობისათვის ცურვის სწავლება ჩვენი პირდაპირი მოვალეობა არაა. საქწყალმაშველის ერთ-ერთი ძირითადი საზრუნავი ისაა, რომ მოაწყოს საზოგადოების წევრებისა და მისი აქტივისათვის ცურვის სწავლება მდინარეებში, ტბებში, და სხვა წყალსატევებში ადამიანთა სიცოცხლის დაცვის ღონისძიებაში მონაწილეობისთვის, ჩვენს საზოგადოებაში მოიზიდოს ენთუზიასტები და ყველა დაინტერესებულ ორგანიზაციას, დაწესებულებებსა და საწარმოს დაეხმაროს ამ საქმეში. ცურვა უნდა იცოდეს ყველამ. სჯობს ბავშვებს სასკოლო ასაკში შევასწავლოთ იგი, როგორც სავალდებულო პროფილაქტიკური საშუალება. ყველამ უნდა იცოდეს წყალზე ხიფათში ჩავარდნილთა გადარჩენის ხერხებიც, უკანასკნელ წლებში საქწყალმაშველი საზოგადოება აქტიურად მონაწილეობს „მოცურავის საკავშირო კვირეულში".

● **და ბოლოს, რას ურჩევდით დამსვენებლებს. უწინარეს ყოვლისა, რა უნდა ახსოვდეთ მათ?**

— წყლისპირა ადგილებში დასასვენებლად გამგზავრებამდე უნდა მიმართოთ ექიმს, რომელიც საჭირო რჩევა-დარიგებას მოგცემთ მზით, ჰაერით და წყლით სარგებლობის რეჟიმის შესახებ. ბანაობის დაწყება მიზანშეწონილია მზიან, უქარო ამინდში, როცა ჰაერის ტემპერატურა 20-25 გრადუსია, ხოლო წყლისა — არანაკლებ 18 გრადუსი. სახიფათოა გახურებული და გაოფლილი ადამიანის წყალში უცებ ჩასვლა. ცურვა რეკომენდირებულია დღე-ღამეში ორჯერ, 15-20 წუთის განმავლობაში, ისიც მხოლოდ ბანაობისათვის გამოყოფილ ადგილებში. წყალში ხანგრძლივად ყოფნამ შეიძლება გამოიწვიოს ორგანიზმის გაცივება და კრუნჩხვები. ბანაობის შემდეგ ტანი პირსახოცით უნდა შეიმშრალოთ. მზის აბაზანის მიღება უმჯობესია ბანაობამდე. წყლიდან ამოსვლის შემდეგ მცხუნვარე მზის ქვეშ დიდხანს წოლა მავნებელია.

საუბარი ჩაიწერა
**ავთანდილ გურასაშვილმა.**

# ევროპის საკლუბო ტურნირები

UEFA

**10 ივლისს ციურიხში გაიმართა ევროპის საკლუბო ტურნირების პირველი ეტაპის წილისყრა (მატჩები ჩატარდება 17 სექტემბერს და 1 ოქტომბერს). გთავაზობთ წილისყრის სრულ შედეგებს:**

## ჩემპიონთა თასი

### მეთექვსმეტედფინალი

**„ბერო" (ბულგარეთი) — „დინამო" (კიევი, სსრ კავშირი)**
„ეინდჰოვენი" (ჰოლანდია) — „ბაიერნი" (გფრ)
„იანგ ბოისი" (შვეიცარია) — „რეალი" (მადრიდი, ესპანეთი)
„პორტუ" (პორტუგალია) — „რაბატ აიაქსი" (მალტა)
„ავენირი" (ლუქსემბურგი) — „აუსტრია" (ვენა, ავსტრია)
„იუვენტუსი" (იტალია) — „ვალიური" (ისლანდია)
„ცრვენა ზვეზდა" (იუგოსლავია) — „პანათინაიკოსი" (საბერძნეთი)
„ანდერლეჰტი" (ბელგია) — „გურნიკი" (ზაბჟე, პოლონეთი)
„ბრონდბიუ" (დანია) — „ჰონვედი" (უნგრეთი)
„ბეშიქთაში" (თურქეთი) — „დინამო" (ალბანეთი)
„აპოელი" (კიპროსი) — ჰიკ (ფინეთი)
„რუსენბორგი" (ნორვეგია) — „ლინფილდი" (ჩრდ. ირლანდია)
„ერგრიტე" (შვეცია) — „დინამო" (ბერლინი, გდრ)
„შემროკ როვერსი" (ირლანდია) — „სელტიკი" (შოტლანდია)
„პარი სენ-ჟერმენი" (საფრანგეთი) — „ვიტკოვიცე" (ჩეხოსლოვაკია)
რუმინეთის „სტიაუა" პირველი წრის მატჩებისაგან თავისუფალია.

## თასების თასი

### მეთექვსმეტედფინალი

**„ჰაკა" (ფინეთი) — „ტორპედო" (მოსკოვი, სსრ კავშირი)**
„აბერდინი" (შოტლანდია) — „სიონი" (შვეიცარია)
„რაპიდი" (ავსტრია) — „ბრიუგე" (ბელგია)
„რომა" (იტალია) — „რეალი" (სარაგოსა, ესპანეთი)
„ბენფიკა" (პორტუგალია) — „ლილესტრიომი" (ნორვეგია)
„17 ნენტორი" (ალბანეთი) — „დინამო" (რუმინეთი)
„ჟირონდა" (ბორდო, საფრანგეთი) — „უოტერფორდი" (ირლანდია)
„მალმიო" (შვეცია) — „აპოლონი" (კიპროსი)
„ბურსასპორი" (თურქეთი) — „აიაქსი" (ჰოლანდია)
„რექსემი" (უელსი) — „ზურიეკი" (მალტა)
„ოლიმპიაკოსი" (საბერძნეთი) — „უნიონი" (ლუქსემბურგი)
„შტუტგარტი" (გფრ) — „სპარტაკი" (ჩეხოსლოვაკია)
გკს (პოლონეთი) — „ფრამი" (ისლანდია)
„ბ 1903" (დანია) — „ვიტოშა" (ბულგარეთი)
„გლენტორანი" (ჩრდ. ირლანდია) — „ლოკომოტივი" (გდრ)
„ვაშაში" (უნგრეთი) — „ველეჟი" (იუგოსლავია)

## უეფა-ს თასი

### ოცდამეთორმეტედფინალი

**„ლუცერნი" (შვეიცარია) — „სპარტაკი" (მოსკოვი, სსრ კავშირი)**
**„ლეგია" (პოლონეთი) — „დნეპრი" (დნეპროპეტროვსკი, სსრ კავშირი)**
**„დინამო" (მინსკი, სსრ კავშირი) — „რაბა ეტო" (უნგრეთი)**
„ნევშატელ ქსამაქსი" (შვეიცარია) — „ლინდბიუ" (დანია)
„რესინგი" (ლანი, საფრანგეთი) — „დანდი იუნაიტედი" (შოტლანდია)
„გრონინგენი" (ჰოლანდია) — „გოლუეი იუნაიტედი" (ირლანდია)
„სპორტინგი" (ლისაბონი, პორტუგალია) — „აკრანესი" (ისლანდია)
„ატლეტიკი" (ბილბაო, ესპანეთი) — „მაგდებურგი" (გდრ)
„ატლეტიკო" (მადრიდი, ესპანეთი) — „ვერდერი" (გფრ)
„ჟენესი" (ლუქსემბურგი) — „გენტი" (ბელგია)
„პეჩი" (უნგრეთი) — „ფეიენოორდი" (ჰოლანდია)
„სპარტა" (ჰოლანდია) — „ვიტორია" (პორტუგალია)
„დუკლა" (ჩეხოსლოვაკია) — „ჰართ ოვ მიდლოთიენი" (შოტლანდია)
„ტორინო" (იტალია) — „ნანტი" (საფრანგეთი)
„ბაიერი" (ლევერკუზენი, გფრ) — „კალმარი" (შვეცია)
„გიოტებორგი" (შვეცია) — „ოლომოუცი" (ჩეხოსლოვაკია)
„კოლრეინი" (ჩრდ. ირლანდია) — „შტალი" (ბრანდენბურგი, გდრ)
„გლაზგო რეინჯერსი" (შოტლანდია) — „ილვესი" (ფინეთი)
„„ბაიერი" (იურდინგენი, გფრ) — „კარლ ცაისი" (გდრ)
„ლინცერ აშკ" (ავსტრია) — „ვიძევი" (პოლონეთი)
„ბევერენ-ვაასი" (ბელგია) — „ვოლერენგენი" (ნორვეგია)
„ირაკლისი" (საბერძნეთი) — „ჰაიდუკი" (იუგოსლავია)
„ფლამურტარი" (ალბანეთი) — „ბარსელონა" (ესპანეთი)
„ფიორენტინა" (იტალია) — „ბოავისტა" (პორტუგალია)
„ჰიბერნიანსი" (მალტა) — „თრაკია" (ბულგარეთი)
„სვაროვსკი-ვაკერი" (ავსტრია) — „სრედეცი" (ბულგარეთი)
„ინტერნაციონალე" (იტალია) — აეკ (საბერძნეთი)
„ბორუსია" (მიონჰენგლადბახი, გფრ) — „პარტიზანი" (იუგოსლავია)
„ომონია" (კიპროსი) — „სპორტული" (რუმინეთი)
„გალათასარაი" (თურქეთი) — „უნივერსიტატია" (რუმინეთი)
„რიეკა" (იუგოსლავია) — „სტანდარდი" (ბელგია)
„ნაპოლი" (იტალია) — „ტულუზა" (საფრანგეთი)

საქართველოს პირველობა

## „ლელოს" საგუშაგო... გვატყობინე...

ამ დღეებში ცხინვალში ადგილ... ბრივმა „სპარტაკმა" უმასპინძ... მცხეთის „არმაზს", როგორც ვ... წყებოდით შეხვედრა მოიგეს ს... მრებმა — 1:0.

ცხინვალის სტადიონზე ... თანადო ორგანიზაციულ ... ნეზე არ ტარდება მატჩები. ... რე, მაგალითად, სტადიონზე რა... ოთი აცხადებდნენ გუნდების შ... დგენლობას, იმათ გვარებსაც, ... საც გოლი გაჰქონდა და რა ცვ... ლებები ხდებოდა გუნდში მატ... მსვლელობისას. ადრე აქ უბრა... ტაბლო მაინც ქონდათ, ახლა ი... აღარ არის. კაცი ვერ გაიგებს, ... ვის ხვდება, რომელი ფეხბურთ... ები თამაშობენ, რა ანგარი... სტადიონის გვერდით ტურბაზაა ... იქ ეზოში მაღალ ანძაზე დამაგ... ბული რადიორეპროდუქტორი მ... ლი მატჩის განმავლობაში ხმამა... უკრავდა ტურბაზის რადიოკვა... ჩართულ მუსიკას, რაც გამაღი... ნებლად მოქმედებდა მაყურებლ... ზე.

6 ივლისს ქიათურის „მშენებე... საკუთარ მოედანზე შეხვდა ბ... ჯომის „თორს". მსაჯობა იდეალ... რი იყო. შეხვედრაც ნორმალუ... ჩატარდა, მაგრამ ტრიბუნებ... არბიტრის მისამართით გამუდმ... იგინებოდა „მსაჯობით უკმაყო... ლო" ადგილობრივ გულშემატკ... რთა ერთი ჯგუფი. მატჩის დამ... რების შემდეგ მსაჯთა ოთახში ... მდენიმე უცხო პირი შეიჭრა ... ხმამაღლა, ენერგიულად დაუწ... მსაჯს „შეცდომებზე" მითით... „ლელოს" წარმომადგენლის ხა... ში ჩარევის შემდეგ შფოთისთა... მა უხმოდ დატოვეს გასახდელი.

„მშენებლის" სტადიონი სავა... ლო მდგომარეობაშია, ამიტომ ... ცა ეს შესაძლებელია, მატჩები ... ჯობესია „მალაროელის" სტად... ნზე ჩატარდეს.

## თქვენი სვლაა

ამოცანა ● იოსებ კრიხე... საერთაშორისო დიდოსტატი საქ... რაკო კომპოზიციაში (გორი).



**შამათი 8 სვლაში**

„ლელოს" 6 ივლისის ნომერ... დაბეჭდილი გ. კაკაბაძის (თბილ... სი) ამოცანა ასე ამოიხსნება: 1.ლ... 1. ...მფg4 2. ლe3.

## ეკრანზე და ეთერში

ცენტრალური ტელევიზია...

რედაქტორის მოადგ...
**თ. გაჩეჩილა...**

**ჩვენი მისამართი:**
წერილებისთვის — 380096
თბილისი, ლენინის ქ., 14
დეპეშებისთვის—თბილისი, „ლელო"

**რედაქციის ტელეფონები:**
სამდივნო — 93-97-52
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53
წერილების განყოფილება — 93-97-55
„მართვე" — 93-97-27, „მერანი" — 93-97-26

**ჩვენი ინდექსი:** 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ო... დენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ., 14. იბეჭდება ოფ... ტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 უე 07...